

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ბატონო დეპუტატებო, სხდომაზე დამსწრე საზოგადოება, ისტორიის კუთვნილება გახდა 2020 წელი, რომელიც ვირუსულ პანდემიასთან, „კოვიდ-19“-თან ასოცირდება და რომელმაც სრულად შეცვალა ჩვენი ცხოვრება.

მსოფლიო მასშტაბით გავრცელებულმა უხილავმა მტერმა არაერთი გამოწვევისა და საშიშროების წინაშე დაგვაყენა. მსოფლიო არნახულმა ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა.

2020 წლის მთელ პერიოდში შუახვევის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში გაწეულია მნიშვნელოვანი საქმიანობა როგორც ვირუსული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის, ისე სოციალურ-ეკონომიკური ხაზით. განხორციელდა მთელი რიგი მასშტაბური პროექტები მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების, მუნიციპალური მომსახურების სისტემის სრულყოფისათვის.

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველ-საყოფად გაუმჯობესდა ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების განსაზღვრის, მართვის მექანიზმის სრულყოფის საქმიანობა.

2020 წელს შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებმა 11385720 ლარს მიაღწია, რაც საგრძნობლად აღემატება 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი 5582740 ლარი წარმართული იყო ინფრასტრუქტურული და სხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების ძირითადი წყაროა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები და გადასახადები, სადაც დაგეგმილი იყო 11192288 ლარი. შესრულება შეადგენს 10051798 ლარს.

მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან გამოყოფილი 3308508 ლარი;

დამატებითი ღირებულების გადასახადია - 266600 ლარი;

ქონების გადასახადი - 2957192 ლარი, სპეც. ტრანსფერი-4443500 ლარი;

სხვა შემოსავლებია - 300000 ლარი -შესრულება-100 პროცენტი.

2020 წლის ბიუჯეტის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 11614130 ლარი, შესრულება-86,1% -ს შეადგენს.

2020 წლის ბიუჯეტი ძირითადად აკმაყოფილებდა იმ ძირითად პრინციპებს, როგორც არის ყოვლისმომცველობა, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, დამოუკიდებლობა, ერთიანობა და სხვა. ამასთან ერთად უნდა შევნიშნოთ, რომ ბიუჯეტმა პანდემიის შესაბამისად განიცადა ცვლილება და მან სრულად დააკმაყოფილა ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება უნდა ემყარებოდეს ზუსტ გათვლებს და არ უნდა საჭიროებდეს სისტემატურ კორექტირებას. ვფიქრობ, ეს ხარვეზი შემდგომისთვის გასათვალისწინებელია.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ბიუჯეტის დაგეგმილი ასიგნებებიდან აუთვისებელი თანხები არ უნდა რჩებოდეს.

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

როგორც აღვნიშნეთ, 2020 წელს ამ ხაზით დაგეგმილი იყო 4.358.001 ლარის 87 ღონისძიება, რომელთაგან შესრულებული იქნა 3615000 ლარის სამუშაოები. აქედან: დასრულდა 61 პროექტი, ორწლიანი არის 4 ობიექტი, შეწყდა 1 ობიექტი.

ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხების ათვისებამ 83 პროცენტი შეადგინა. გარდამავალში გადავიდა 21 ღონისძიება.

კეთილმოწყობის ღონისძიებები

2020 წელს ინფრასტრუქტურული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანი თანხა წარიმართა კეთილმოწყობის ღონისძიებებზე:

ესენია:

1. დაბა შუახევის კეთილმოწყობის სამუშაოები, 578.500 ლარი, თამარ მეფისა და რუსთაველის ქუჩებზე მოეწყო ზედა საყრდენი კედლები, აიკვრა ფილები, დამონტაჟდა განათებები;

2. დაბა შუახევში თამარ მეფის ქუჩაზე სკვერის, კიბეებისა და ღობის მოწყობა, 40.000 ლარი;

3. სოფელ ფურტიოს ცენტრის კეთილმოწყობა, 71.000 ლარი;

4. სოფელ ფურტიოს ცენტრის კეთილმოწყობა, 84.000 ლარი;

5. სოფელ ფურტიოს საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, 44.000 ლარი;

6. სოფელ ტბეთის ცენტრის კეთილმოწყობა 98.000 ლარი;

7. სოფელ მახალაკიძეების საბავშვო ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, 70.000 ლარი;

8. სოფელ ბუთურაულის ცენტრის კეთილმოწყობა 103.000 ლარი, პროექტი გარდამავალია.

9. სამთო იალაღებზე შიდა ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, 1.300.000 ლარი.

წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები

2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ასიგნებანი გათვალისწინებული იყო წყალმომარაგების ღონისძიებებზე:

სულ მალე შუახევის მუნიციპალიტეტში დაიწყება წყალმომარაგებისა და წყალანირების სისტემების გაწმენდის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი 59,5 მილიონი ევროა.

აქედან შუახევზე გათვალისწინებულია 8.961.519 ევრო. პროგრამა ითვალისწინებს ცენტრალური წყალმომარაგების და წყალანირების სისტემების გაწმენდას, სველი წერტილების მოწყობას. უკვე მომზადებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ჭვანის ხეობის სოფლების წყალმომარაგების გუმჯობესებას. პროექტს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს.

წლის განმავლობაში მოსახლეობის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად განხორციელდა 14 პროექტი.

3.

ეს ე ნ ი ა:

1. სოფელ კობალთის სასმელი წყლის მოყვანა, 40.000 ლარი;
 2. სოფელ წაბლანის წყალსადენის მაგისტრალის რეაბილიტაცია, 13.000 ლარი;
 3. მთა ჯანჯღნარის სამოგობა უბნის წყალსადენის მშენებლობა 15.000 ლარი;
 4. სოფელ ზედაყანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, 8.000 ლარი;
 5. საყენდრიას მთაზე სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, 14.000 ლარი;
 6. მთა მერიაყელში წყალსადენის ქსელის მოწყობა, 17.900 ლარი;
 7. სოფელ ტბეთის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, 6.000 ლარი;
 8. სოფელ ბარათაულის ბაგა-ბაღის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ბარათაულის მოსახლეობის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, 3.100 ლარი;
 9. სოფლების ფურტიო - ბუთურაული - ნენიის წყალსადენის შიდა ქსელისა და გამანაწილებელი რეზერვუარის მოწყობა, 978.000 ლარი;
 10. მთა ჩირუხში შუამთის უბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა, 35.671 ლარი;
 11. სოფელ ცხემლისის ცენტრალურ გზაზე სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, 6.000 ლარი;
 12. სოფელ ვანის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, 17.200 ლარი;
 13. სოფელ ჭვანაში წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, გამანაწილებელი აუზის მოწყობა, 24.000 ლარი;
 14. სოფელ ინჭვირვეთის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა და სოფელ ბრილის შიდა სასმელი წყლის ქსელზე გამანაწილებელი აუზის მოწყობა, 12.890 ლარი.
- ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ მოსახლეობის წყალმომარაგების საკითხი საჭიროებს შემდგომ ყურადღებას, ზრუნვას. მოსაწყობია რიგი სათავე ნაგებობები, გამწმენდები. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს წყლის ხარისხს, წყალსადენის სისტემას და სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

ინფრასტრუქტურის ხაზით მუშაობს შემდეგი მიზნობრივი პროგრამები

1. უპატრონო, მაწანწალა ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის მიზნობრივი პროგრამა;
პროგრამის ბიუჯეტი -15 000 ლარი;
2. სამთო საძოვრეებზე მგზავრთა უფასო ტრანსპორტირების მიზნობრივი პროგრამა;
პროგრამის ბიუჯეტი -35 000 ლარი;
3. ნარჩენების გატანის პროგრამა;
პროგრამის ბიუჯეტი - 45.000 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა, შენახვა

წლის განმავლობაში ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი მოწესრიგების საკითხებს.

1. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით კვირიაულში (ოხორტის უბანი) გაყვანილი იქნა ახალი გზა, 51,000 ლარი;
2. ზამლეთის თემის სოფლებში განხორციელდა გზების შეკეთების სამუშაოები, 141,900 ლარი;
3. ბარათაულის თემის სოფლებში განხორციელდა საავტომობილო გზების შეკეთების სამუშაოები, 116.000 ლარი;

4.

4. უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში განხორციელდა გზების შეკეთების სამუშაოები, 147,000 ლარი;

5. სოფელ ჯაბნიძეებში გენადი ზოსიძის საცხოვრებელ სახლთან მიყვანილი იქნა ახალი საავტომობილო გზა, 21,000 ლარი;

6. სოფელ ნენიაში (მამულაძეების უბანი) მოხდა საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის დაგება, 61,150 ლარი;

7. შუბნის თემის სოფლებში განხორციელდა საავტომობილო გზების შეკეთების სამუშაოები, 109.700 ლარი;

8. ოლადაურის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფლებში განხორციელდა საავტომობილო გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, 112.320 ლარი;

9. წყალსაყრის თემის სოფლებში საავტომობილო გზების შეკეთება, 117.800 ლარი;

10. დღვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში საავტომობილო გზების შეკეთება, 21.000 ლარი;

11. ჭვანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გზების შეკეთების სამუშაოები, 154.000 ლარი, გარდამავალია.

12. დაბა შუახევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში გზების შეკეთების სამუშაოები, 120.800 ლარი, გარდამავალია.

13. დღვანის თემის სოფლებში გზების შეკეთების სამუშაოები, 114.900 ლარი, გარდამავალია.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ყველა თემის სოფლებში განხორციელდა გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა, 1.498.500 ლარის სამუშაოები შესრულდა.

აჭარის საგზაო დეპარტამენტის დაფინანსებით შავი საფარი დაიგო ზამლეთი - ხიხაძირის გზის 3,2 კმ-ზე, თანხით 1.395.009 ლარის და შუახევი - ჩირუხის გზის 6,5 კმ-ზე, თანხით 3.699.999 ლარის.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგზაო დეპარტამენტის დაფინანსებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ცალკეულ მონაკვეთებზე მოეწყო 27 ერთეული დამცავი კედელი და გაბიონი, საერთო თანხით 977. 521 ლარის.

რეაბილიტაცია ჩატარდა 1 ხიდს, 25.000 ლარი.

დამცავი ზღუდარები მოეწყო 5 ობიექტზე, თანხით 93.565 ლარის.

27.800 კმ-ზე დაიგო ბეტონის საფარი, 10 ათასი კუბურ მეტრის მოცულობით.

პერიოდულად ხდებოდა გზების გაწმენდა თოვლის საფარისგან, მეწყერებისა და შვავებისგან.

საგზაო დეპარტამენტის შუახევის წარმომადგენლობის განკარგულებაშია 14 ერთეული მუხლუხა ტრაქტორი, 4 „ბელარუსი“, 3 ექსკავატორი, 3 თვითმცვლელი ტექნიკა. განყოფილებაში დასაქმებულია 6 უბნის უფროსი და 61 გზის მომვლელი.

როცა ინფრასტრუქტურის ხაზით გაწეულ საქმიანობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი არ არის დამყარებული ქონების აღრიცხვის, გასხვისების, არენდით გაცემის საქმეში. ცალკეულ პირებს ერიცხებათ დიდი ოდენობით დაგროვილი (გადაუხდელი) საიჯარო დავალიანებები. სათანადოდ არ ტარდება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია.

5.

გასაუმჯობესებელია ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაგეგმვის, პრიორიტეტების შერჩევის მექანიზმი, პროექტების მომზადების ხარისხი, სამშენებლოდ

მიწის ნაკვეთების გამოყოფის, შესაბამისი ნებართვების მიღების პრაქტიკა. ხშირია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ცვლილებები უშუალოდ მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, რაც მშენებლობის გაჭიანურებას უწყობს ხელს.

სერიოზული ხარვეზებია ნარჩენების მართვის საკითხებში, არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მის პრევენციას, ნარჩენების უსაფრთხო გზით დამუშავებას, მის დროულ გატანას, ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას მანამ, სანამ ამა თუ იმ ობიექტის მიღება ხდება.

უნდა ამაღლდეს ცალკეული ობიექტების მეპატრონეთა როლი და პასუხისმგებლობა ეზო-მიდამოს სანიტარული წესრიგის უზრუნველყოფისთვის.

ინფრასტრუქტურის ხაზით სრულად უნდა განვავითაროთ მუნიციპალური დაგეგმვის პროცესი, სწორად განვსაზღვროთ განვითარების პრიორიტეტები, სრულყოფით მათი განხორციელების მექანიზმი. უნდა გაუმჯობესდეს სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მექანიზმი.

გაუმჯობესებას მოითხოვს იურიდიული პირებიდან ტერიტორიის დაგვა დასუფთავების მოსაკრებლისა და არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ამოღების საქმიანობა.

ცალკეულ პირებს ერიცხებათ არგადახდები, რაც ყოველად მიუღებელია და მომავალში ამ გარემოებას ვერ შევურიგდებით.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს მგზავრთა მომსახურების საკითხი. შპს „შუახევის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ სათანადოდ ვერ არეგულირებს მარშრუტებს, ტარიფებს, პარკის განახლებას, რის გამოც ხშირია მოსახლეობის შენიშვნები. ვფიქრობთ, ამ საქმეს მეტი ყურადღება სჭირდება.

არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე (27.12.2019 წ.) დამტკიცდა შუახევის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. ჩვენი ამოცანაა ყველაფერი ვიღონოთ მის განსახორციელებლად.

2. სოფლის შემდგომი განვითარება

2020 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოფლის შემდგომი განვითარების ხაზით. გრძელდება ჭვანის ხეობის საზაფხულო იალაღების ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის სამუშაოები, შიდა დაქსელვა და წელს ყველა მთა მიიღებს ენერჯიას. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელდა 80-მდე ღონისძიება, რაზედაც დაიხარჯება 611.445 ლარი, რომელთაგან მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის გარე განათების მოწყობის, საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების პროექტებს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 152 კერძო კომპანია, ფერმერია-1506 პირი. ასეულობით ოჯახი სარგებლობს სოფლის მეურნეობის ხაზით მოქმედი მიზნობრივი პროგრამებით.

ფუნქციონირებს 4 „ამაგი“ (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება), ჭვანის, მარეთის, ზამლეთის, უჩამბის, რომლებშიც ყველა სოფლის წარმომადგენელია გაერთიანებული.

6.

შენდება ლოჯისტიკის ცენტრი. სამი რაიონის ბაზაზე (ხულო, შუახევი, ქედა) მოეწყო მრავალწლიანი კულტურების სანერგე და საჩითილე მეურნეობები.

მოეწყო კენკროვანი ხეხილის ორი სადემონსტრაციო ნაკვეთი (გომარდული, ნენია), შემოტანილი იქნა დაავადებებთან მედეგი სხვადასხვა თესლი თავისი ორგანულ-მინერალური სასუქით და გაუნაწილდა ფერმერებს. გორხანაულში გაიხსნა ვეტერინარული კლინიკა.

ამასთან, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მოითხოვს მეტ ყურადღებას, მეტ ძალისხმევას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გარემოს დაცვის, ტყის რესურსების გამოყენების საკითხები. უნდა ვიფიქროთ დაცული ტერიტორიების შექმნის საკითხებზე.

წლის განმავლობაში სათანადო ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე მუნიციპალიტეტის სამრეწველო პოტენციალის წარმოჩინების სარეკლამო საქმიანობას.

პერიოდულად ხორციელდებოდა წვრილი და საშუალო ბიზნესის წახალისების, ფერმერული მეურნეობების შექმნის, კოოპერაციული მეურნეობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, მათ ბაზაზე წარმოების განვითარებას, მოსახლეობის ადგილზე დასაქმებას, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება გენდერული თანასწორობის ხაზით. მუშაობს მიზნობრივი პროგრამა: „სოფლად მცხოვრები ქალები სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.

მოსახლეობის სოციალური ჭრის ფარგლებში ხე-ტყით უზრუნველყოფისთვის შუახევის სატყეო ადმინისტრაციას ტყის შესაძლებლობებიდან გამომდინარე გამოყოფილი აქვს 2600 კმ პირველი ხარისხის და 19900 კმ მეორე ხარისხის ხე-ტყე. შუახევის მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფლის მიმართულებით მონიშნულია

ტყეკაფები, საიდანაც მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა შეუფერხებლად მეორე ხარისხის ხე-ტყის სარგებლობისა. 2020 წლის მდგომარეობით მოსახლეობის მიერ ათვისებულია 1691 კმ პირველი ხარისხის და 13128 კმ მეორე ხარისხის ხე-ტყე.

შუახევის მუნიციპალიტეტში შემავალი სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილია 1589 კმ მეორე ხარისხის ხე-ტყე. შუახევის სატყეო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზაციები დაკმაყოფილებულია სრულად.

შუახევის სატყეო ადმინისტრაციის მიერ აქტიურად მიმდინარეობს სატყეო კვარტლებში ახალი გზების მშენებლობა და არსებული გზების შეკეთება. გასულ წელს შუახევის სატყეო ადმინისტრაციის სატყეო კვარტლებში დაგეგმილი იყო 5500 მეტრი ახალი გზის მშენებლობა. გაყვანილია 8400 მეტრი ახალი გზა, ანუ გადამეტებით იქნა შესრულებული ახალი გზების მშენებლობის დავალება. შეკეთებული და გაწმენდილია სხვადასხვა კვარტლებში 14250 მეტრი სიგრძის უხვად მოსული ნალექების შედეგად დაზიანებული და დამეწყრილი გზები.

აქტიურად მიმდინარეობს ტყის მავნებელ დამავადებლების წინააღმდეგ ბრძოლა. შუახევის სატყეო ადმინისტრაციის წიწვოვან კორომებში მავნებელ-დამავადებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით სანიტარული ჭრების ფარგლებში განხორციელდა 3200 კმ ხმელი დაავადებული ხე-ტყის მოჭრა, ტყიდან გამოზიდვა და სამანქანე გზაზე დასაწყობება, რომელიც შემდგომში შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულ იქნა მოსახლეობაზე.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინა წლებთან შედარებით უკანონო ჭრები საგრძნობლად შემცირებულია. 2020 წლის მდგომარეობით უკანონო ჭრები შეადგენს 212,576 კმ-ს, გარემოზე მიყენებული ზიანი კი- 23630,302 ლარს.

3. განათლების, კულტურის, სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის გაფართოება

განათლების სფერო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს და მონაწილეობას სკოლამდელი და სკოლის გარეშე ზოგადი და პროფესიული განათლების სფეროში. 2020 წელს ეს სფერო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1774109 ლარით იყო დაფინანსებული.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს შუახვევის საჯარო სკოლის მშენებლობა. მალე გაიხსნება პროფტექნიკური სასწავლებლის „ბლექსი“-ს ფილიალი.

დაიწყო დაბა შუახვეში მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლისა და სახელოვნებო სკოლის მშენებლობა, რომელთა საპროექტო ღირებულება 665.820 ლარია. პროექტი ორწლიანია და მიმდინარე წელს დასრულდება.

ვირუსული პანდემიის გამო 2020 წლის მარტიდან შეიზღუდა კულტურული, სპორტული ღონისძიებები, სხვა ხალხმრავალი სანახაობები და რიგი მათგანი ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა. მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები აქტიურად ერთვებოდნენ სხვადასხვა სემინარების, აქტივობების ონლაინ რეჟიმში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ამაღლდეს კულტურული, სანახაობითი ღონისძიებების მომზადების ხარისხი და მათ უფრო მეტი შემეცნებითი და სანახაობრივი დატვირთვა უნდა ჰქონდეს. სისტემატური სახე უნდა მიეცეს გასვლითი ღონისძიებების ჩატარებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუშაობს 43 საჯარო, ერთი კერძო სკოლა და ტბელ აბუსერიძის სახელობის ხიჭაურის უნივერსიტეტი. საჯარო სკოლებთან მიერთებულია 27 დაწყებითი სკოლა. ჩვენს სკოლებში სწავლობს 1698 მოსწავლე (საშუალოდ 1 სკოლაზე მოდის 39 მოსწავლე), რომელთა სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 747 პედაგოგი. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ საშუალოდ ერთ პედაგოგზე 2,5 მოსწავლე მოდის. ასეთ პირობებში, დამეთანხმებით, სწავლის ხარისხი უფრო მაღალი უნდა იყოს. 2019 – 2020 წლებში ათეულობით ხანდაზმულმა პედაგოგმა მიიღო მასწავლებლის ჯილდო (ორი წლის ხელფასი) და პენსიაზე გავიდა. მათი შევსება მოხდა ახალგაზრდა პედაგოგებით.

მიუხედავად ამისა, ჩვენი სკოლები კვლავ განიცდიან სპეციალისტი კადრების ნაკლებობას. ცალკეულ სკოლებში გვაქვს ვაკანსიები, რაც უარყოფითად მოქმედებს სწავლის ხარისხზე. რიგ სკოლებში 20 მოსწავლეზე ნაკლები ბავშვია. საგრძნობლად გაიზარდა წამყვანი და უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე პედაგოგთა რიცხვი.

დადებითი ტენდენციებია კულტურის სფეროში. ა(ა)იპ შუახვევის კულტურის ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბებული ცალკეული ანსამბლები წარმატებით გამოდიან არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ ფოლკლორულ ფესტივალებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია ანსამბლები: „ჭვანა“, „შუახვევი“, „ფესვები“, „ზე-კართან“ და სხვა, რომელთა საქმიანობას შემდგომი განვითარება სჭირდება. 2020 წელს ანსამბლი „ჭვანა“ „ნიჭიერის“ ფინალში გავიდა.

დადებითი ტენდენციებია სახელოვნებო სკოლის მუშაობაში. შეიქმნა ბავშვთა ანსამბლი. ეს სასიკეთო ტენდენციები შემდგომ მხარდაჭერას, განვითარებას საჭიროებს.

მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია გაზეთ „შუახვეის“ როლი. ჩვენი მხრიდან მეტი მხარდაჭერა სჭირდება გაზეთის რედკოლეგიას მისი ფინანსური უზრუნველყოფისა და გავრცელების საქმეში.

უნდა დაჩქარდეს დაბის საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაციის, კეთილმოწყობის სამუშაოები. უნდა შევქმნათ მრავალმხრივი ფუნქციით დატვირთული სპორტული ბაზა, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის ძირითადი საყრდენი გახდება. მეტი ასიგნებები გვჭირდება სპორტული ბაზების მოსაწყობად, სპორტული ინვენტარის შესაძენად.

სკოლამდელი აღზრდა

2020 წელს გაფართოვდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელი. გაიხსნა ბუთურაულის საბავშვო ბაგა-ბაღი. შენდება სოფელ დღვანის ბაგა-ბაღი, რომელიც წელს დასრულდება. დაიწყო აგრეთვე სოფელ ჯაბნიძეების ბაგა - ბაღის მშენებლობა, რომლის საპროექტო ღირებულება 180.000 ლარია. პროექტი ორწლიანია და წელს დასრულდება.

პროექტის ღირებულება 100.000 ლარია. მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფუნქციონირებს 13 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომლებში 495 სკოლამდელი ასაკის ბავშვი ირიცხება. აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელი პროცესს ემსახურება 215 თანამშრომელი. ბაგა-ბაღებში გაერთიანებულ ბავშვებზე განაწილდა კვების პროდუქტები.

ასევე ქართულ-პოლონური ასოციაციის „კვიტას-გეორგიკას“ ეგიდით გახსნილი 8 ალტერნატიული ბაღი (ნენიაში, ოლადაურში, კვიახიძეებში, მაწყვალთაში, დღვანში, ჯაბნიძეებში, ქიძინიძეებში, ნაღვარევში) და ერთი სასკოლო მზაობის ჯგუფი (დაბა შუახვეში), სადაც ასოციაციის მიერ გადამზადებული კადრები არიან დასაქმებული.

ალტერნატიულ ბაგა-ბაღებში გაერთიანებულია 99 აღსაზრდელი. სულ კი სკოლამდელი აღზრდის სიკეთით სარგებლობს 524 ბავშვი.

2020 წლისთვის სკოლამდელი აღზრდის სფერო დაფინანსებული იყო 1.370.000 ლარით.

ახალგაზრდობასთან მუშაობა, ტურიზმი

ადგილობრივი თვითმმართველობის ყოველდღიური ზრუნვის საგანია ახალგაზრდობის პოტენციალის სრულად ამოქმედება, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობის დასაქმების, ადგილზე დამაგრების საკითხებს. ისინი აქტიურად უნდა ჩავრთოთ ბიზნესის სფეროში, ხალხური რეწვის, ძველი ტრადიციების აღდგენა-განვითარების საქმიანობაში. მეტი უნდა ვიზრუნოთ კერძო ინიციატივების გამოვლენის, მხარდაჭერის, წახალისების ხაზით.

ტურიზმი ჩვენი მომავალია და ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება სჭირდება. დიდი ძალისხმევა გვმართებს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, ჩვენი საკურორტო ადგილების ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისთვის.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ძალისხმევით მზადდება ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის გამოყენების, ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნის პროგრამა. ეს მისასაღმებელია. ანალოგიური ღონისძიებები დაგეგმილია მთა ცირუხის, სხვა საკურორტო ადგილების მიმართებაში.

საამისოდ სრულად უნდა იქნეს გამოყენებული მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსი, ყველა საკურორტო ადგილი, ჩვენი ყოფა, კულტურა, ტრადიციები, ჩვენი შესანიშნავი ბუნება.

ამ მიმართებით მეტი მუშაობა მართებს ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებას, შესაბამის სამსახურს, დარგის კურატორს, მთლიანად მუნიციპალიტეტს.

საჭიროა აქტიურად ვითანამშრომლოთ როგორც აჭარის, ისე საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტთან, უნდა მომზადდეს საცნობარო-სანახაობით სარეკლამო რგოლები, ფართოდ უნდა წარმოვაჩინოთ ჩვენი შესაძლებლობები, პოტენციალი, ბუნება. უნდა განვაავითაროთ საოჯახო სასტუმროების ქსელი, მოვამზადოთ კადრები, ახალი ტურისტული მარშრუტები.

ბუნებრივია, ტურისტების, ვიზიტორების მოსამზადებლად გვესაჭიროება სათანადო ინფრასტრუქტურა და რაც ყველაზე მთავარია, სუფთა, მიმზიდველი გარემო.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მყარი ნარჩენების მართვის, სოფლების, დასახლებული უბნების, გზების, გზის პირების, მდინარეთა აუზების დასუფთავებას, უმკაცრესი სანიტარულ-ჰიგიენური წესრიგის დაცვის საკითხებს. საამისოდ ყველა ღონე და საშუალება უნდა იქნას გამოყენებული. შესაძლებელია დავაინტერესოთ ვიზიტორები ჩვენი სხვა მინერალური (უჩამბა, ბაბანური, ბოგილი, წყალამპარა, მარეთი) და თერმული (შუახევის აბანო, ტომამეთის, გუდნის, ჩანჩხალოს აბანოები) წყლებით, სოფელ ჩანჩხალოს მღვიმით, ნაძვნარის თუ ფიჭვნარის ტყეებით, მდინარეებით, ტბებით, ალპური საძოვრებით და ა.შ.

4. ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის ღონისძიებები

ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხები მერიის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. 2020 წელს აღნიშნული მიმართულება დაფინანსებული იყო 737115 ლარით.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მუშაობდა 9 მიზნობრივი პროგრამა, ეს პროგრამებია:

1. ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა - 30263 ლარი, პროგრამით ისარგებლა 35 ბენეფიციარმა;

2. თემებზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მიზნობრივი პროგრამა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის, 85200 ლარი;

3. სოციალურად დაუცველი ფენებისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვების უზრუნველყოფის პროგრამა 37000 ლარი, პროგრამით სარგებლობდა 42 ბენეფიციარი;

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 4 და მეტ 18 წლამდე ასაკის მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, 62000 ლარი, პროგრამით ისარგებლა 62 ოჯახმა;

5. გაჭირვებულ ოჯახებზე გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის გასაცემი ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, 25 600 ლარი, დახმარება გაეწია 64 ოჯახს;

6. ვეტერანებზე გაზით უზრუნველყოფის და მატერიალური დახმარების პროგრამა, 30583 ლარი, პროგრამაში ჩართული იყო 245 ვეტერანი;

7. 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციფიკური სამკურნალო კვების პროდუქტების შექმნისთვის ფინანსური დახმარების მიზნობრივი პროგრამა, 5115 ლარი, სარგებლობდა 1 ბენეფიციარი;

8. 18 წლამდე ასაკის დედ - მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა, 3000 ლარი, (ორი ბენეფიციარი); აპრილიდან ერთი ბენეფიციარი.

9. დიალეზის პროგრამაში ჩართული შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების ტრანსპორტირების მიზნობრივი პროგრამა, 17089 ლარი, პროგრამით სარგებლობდა 6 ბენეფიციარი;

აღნიშნული პროგრამების საერთო დაფინანსებაა 276.115 ლარი.

შუახევში ასაკით პენსიონერია - 2985 ადამიანი;

შეზღუდული შესაძლებლობისაა - 1377 პირი;

დასაქმებულია - 4516;

სოციალურად დაუცველია - 928 ოჯახი (4608 პირი).

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სტიქიური პროცესების შესწავლას, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას. მოქალაქეთა მომართვების საფუძველზე გეოლოგ-სპეციალისტების მიერ შესწავლილი იქნა 570 ოჯახი.

მათ შორის:

ზვავსაშიშროებაზე 53 ოჯახი; მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებზე 6 ოჯახი. სხვადასხვა სამთავრობო პროგრამაში ჩასართავად შუამდგომლობა აღედრა სტიქიის შედეგად დაზარალებულ 23 ოჯახს (ეკომიგრანტების პროგრამა) და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 6 ოჯახს.

მერიის სარეზერვო ფონდიდან დახმარება გაეწია სტიქიის შედეგად დაზარალებულ 42 ოჯახს, 74000 ლარის ოდენობით. მკურნალობის თვითდაფინანსების თანხის გადახდაში დახმარება გაეწია 104 ოჯახს, სულ 87000 ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწია 205 ოჯახს, 1425000 ლარით.

ამასთან საჭიროა მომავალში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს გარემოსდაცვითი ღონისძიებების კოორდინაციის, მეწყერული და ღვარცოფული საშიშროებების პრევენსიის, ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გატარებას.

ფართოდ უნდა დავენერგოთ კერძო სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა ჩვენი მოსახლეობის მოძრავი თუ უძრავი ქონების, სამედიცინო დაზღვევების მიღების მიზნით. წლის განმავლობაში ასეულობით ოჯახმა ისარგებლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის მიზნობრივი პროგრამით.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი, დასახლებული უბანი მოქცეულია ფიჭური კავშირგაბმულობის დაფარვის ქსელში. ყველა სოფელში შედის სამგზავრო ტრანსპორტი. მოსახლეობა რამდენიმე არხზე ღებულობს ტელეგადაცემებს, სარგებლობს ინტერნეტ მომსახურებით. მაგრამ ყოველივე ეს არ არის საკმარისი. ჩვენი სოფლები საჭიროებენ მეტ ყურადღებას, მეტ განვითარებას. ეს პირველ რიგში ეხება გზებს, განათლების, კულტურის, სპორტის სფეროების შემდგომ განვითარებას, თხევადი გაზით უზრუნველყოფას, ინტერნეტიზაციას.

ამ მიმართებით გარკვეული სტიმულის მომცემია საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“. აღნიშნული სიკეთით მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახი სარგებლობს. შესაბამისი შეღავათებით სარგებლობენ ექიმები, პედაგოგები, მრავალშვილიანი დედები, პენსიონერები, მეწარმეები. სოლიდური

შედავითა მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდის მხრივ.

ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 12 სოფლის ექიმი და 40-ზე მეტი სამედიცინო პუნქტი. ისინი უზრუნველყოფილი არიან მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილებით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში არის გარკვეული ხარვეზები. სადღეისო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს რაიონული საავადმყოფო.

წარმატებით ხორციელდება წვევამდელთა სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაწვევის ღონისძიებები. 2020 წელს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა უწყებებში გაწვეულია 33 წვევამდელი. საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევებზე აღრიცხვაზე მყოფი 814 წვევამდელიდან გამოცხადდა 391 წვევამდელი, რაც ერთობ დაბალი მაჩვენებელია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამწვევი კომისიის მიერ გადაავადება მიეცა 137 წვევამდელს. რეზერვში ჩაირიცხა 81 წვევამდელი 27 წლის ასაკის გამო.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახური ჩვენი ახალგაზრდების უპირველესი მოქალაქეობრივი მოვალეობაა და ამ მიმართებით გვჭირდება მეტი ახსნა-განმარტებითი მუშაობა დაწყებული საჯარო სკოლებიდან დამთავრებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოებით.

არსებითად გაუმჯობესდა სახელმწიფო შესყიდვები. 2020 წელს გამოცხადდა 230 ტენდერი, ცალკეული იურიდიულ პირებთან გაფორმდა 213 ხელშეკრულება, ამასთან, ამ კუთხით კვლავ თავს იჩენს რიგი ხარვეზები, რაც უნდა აღმოიფხვრას. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კანონიერების დაცვას, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საკითხებს.

5. მმართველობის რგოლი და მომავლის ამოცანები

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მოსახლეობასა და მერიას შორის კომუნიკაციის ეფექტური და მოქნილი მექანიზმის სრულყოფის საკითხებს. გაუმჯობესდა ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის ჩართულობა. ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების შემუშავება, პრიორიტეტების შერჩევა ხდება მოქალაქეთა აზრის გათვალისწინებით. გაიზარდა მერიის აპარატის საქმიანობის ეფექტურობა, მისი გამჭვირვალობა. მეტი ყურადღება ექცევა მოქალაქეთა მომართვებს, მათი პეტიციების განხილვა-რეაგირებას.

გაუმჯობესდა საჯარო მოხელეთა სწავლების, პროფესიული დაოსტატების ღონისძიებები. ვაკანტური სამტატო ერთეულები შეივსო კონკურსის შედეგებით. ეტაპობრივად ხორციელდება საჯარო მოხელეთა შეფასებები. ქმედითი კონტროლი იყო დაწესებული მათ საქმიანობაზე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დოკუმენტებზე მუშაობა, მოწესრიგდა დოკუმენტთბრუნვა, ნორმატიული აქტების მომზადების, მიღებისა და გამოცემის, საჯარო ინფორმაციების გაცემის პრაქტიკა. დანერგილია დოკუმენტთბრუნვის ერთიანი ელექტრონული სისტემა. ყოველდღიური კონტროლი არის დაწესებული დოკუმენტების მომზადებაზე, პასუხების გაცემაზე.

მოწესრიგდა ცალკეული სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოში შეტანის, საკრებულოს მიერ გამოცემული აქტების შესრულების მდგომარეობა. 2020 წელს მომზადდა და გამოიცა მერის 1011 ბრძანება. მათ შორის: ძირითად საკითხებზე 776. 68

სამართლებრივი აქტის პროექტი შეტანილი იქნა შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად.

გაუმჯობესდა მოქალაქეთა წერილებსა და მომართვებზე მუშაობის კონტროლი. ოპერატიულად ხდება მათზე რეაგირება. 2020 წელს მერიაში მიღებული, რეგისტრირებული და განხილულია 7677 წერილი და კორესპონდენცია. მომზადდა და გაიგზავნა 5635 წერილი. განხილული, შესრავლილი და რეაგირებულია მოქალაქეთა 3960 განცხადება. ყველა განცხადებაზე გაცემულია პასუხი და ჩამოწერილია. შესწავლილი და პასუხი გაცემულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ - მინისტრის ადმინისტრაციებიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან გადმოგზავნილი ყველა განცხადება თუ საჩივარი.

ყოველდღიური კონტროლია დაწესებული მოქალაქეთა მიღებაზე, მათი მოთხოვნების გაანალიზება - რეაგირებაზე. 2020 წელს მერიაში მიღებულია 2900-ზე მეტი მოქალაქე, სისტემატურად ტარდება მოქალაქეთა ღია მიღებები. 2020 წელს ჩატარდა 23 ღია მიღება. განხილული იქნა 720-მდე მოქალაქის თხოვნა. ანალიზი უკეთდება მიღების დროს დაყენებულ საკითხებს. მუშაობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. შეიქმნა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო. რეგულარულად ტარდებოდა საბჭოს სხდომები. ქმედითი კონტროლია დაწესებული სხდომების გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების შერჩევის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვის დროს.

პერიოდულად ტარდებოდა შეხვედრები მოსახლეობასთან და განიხილებოდა მათ მიერ დასმული საკითხები. ორგანიზაცია უკეთდებოდა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირთა შეხვედრებს სოფლების მოსახლეობასთან. მოსახლეობის მომართვების საფუძველზე მომზადდა შუამდგომლობის წერილები, თხოვნები „შუახვევიჰესის“ მშენებარე კომპანიებთან, სხვადასხვა სამინისტროებთან, უწყებებთან.

მომზადდა 2200-ზე მეტი სამართლებრივი აქტის პროექტი. ყოველდღიური კონტროლი არის დაწესებული სამართლებრივი აქტების შესრულებაზე.

საჭირო ყურადღება ექცევა ორგანიზაციულ - სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის საკითხებს. 2020 წელს ჩატარდა 12 გაფართოებული თათბირი, 23 მუშა თათბირი. მერის მიერ გაცემულია 218 დავალება. მკაცრი კონტროლია დაწესებული საოქმო დავალებების შესრულებაზე.

გაუმჯობესდა მერიის საქმიანობის საჯაროობა. მოქალაქეთა ინფორმირებულობა, ადმინისტრაციულ ერთეულებზე დახმარება და კონტროლი. მერიის საქმიანობა მაქსიმალურად შექდება ადგილობრივ გაზეთ „შუახვევი“, რომელიც ყოველდღიურად გამოდის. ხდება ინფორმაციების მიღება, ზემდგომ ორგანოებზე მიწოდება. გაუმჯობესდა ინფორმაციების მიღებისა და ზემდგომ ორგანოებზე მიწოდების პრაქტიკა.

გაუმჯობესდა ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებების, კანცელარიის საქმიანობა. ერთ სასამართლო პროცესზე დაცული იქნა მერიის ინტერესები. ყოველდღიურად ხდება იურიდიული კონსულტაციების, დახმარებების გაწევა მოქალაქეებზე, მერიის ქვემდებარე სამსახურებზე. მერიის საქმიანობის ყოველდღიური აქტივობები შუქდება სოციალურ ქსელში, შესაბამის საიტებზე. გაუმჯობესდა საჯაროობა. ქმედითი კონტროლი არის დაწესებული სტრუქტურულ ერთეულებში, ტერიტორიულ ორგანოებში, მერიის ქვემდებარე დაწესებულებებში კანონიერების დაცვის საკითხებზე.

რეგულარულად ტარდებოდა მაღალმთიანობის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის სხდომები, წლის განმავლობაში განხილულია მოქალაქეთა 1633 განცხადება, მათ შორის:

-სტატუსის მინიჭებაზე- 128 განცხადება, დადებითად გადაწყდა- 105. უარი ეთქვა- 3 პირს;

-სტატუსის შეწყვეტაზე- 885 განცხადება, დადებითად გადაწყდა- 287, უარყოფითად- 538.

-სტატუსის შეჩერებაზე- 0 განცხადება, დადებითად გადაწყდა-9.

-გაიცა სტატუსის ცნობა- 648 მოქალაქეზე, სტატუსი აღუდგა- 9 პირს.

გაუმჯობესდა ქალთა შორის მუშაობა. ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ქალთა ოთახის ინიციატივით. განხორციელდა ბიზნესმენ ქალთა წახალისების ღონისძიებები. მეტი ყურადღება ეთმობა ქალთა, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ოჯახური ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის საჯაროობისთვის აქტიურად გამოიყენება მუნიციპალიტეტის მერიის ვებ- გვერდი, სოციალური ქსელი, ინტერნეტსაიტები და სხვა საშუალებები.

ყოველდღიური კონტროლი არის დაწესებული ადმინისტრაციული შენობის დაცვის, მატერიალურ - ტექნიკური მომარაგების საკითხებზე, შრომის დისციპლინის დაცვის, მორიგეობის შესრულებაზე.

გაუმჯობესდა სანიტარული მდგომარეობა. პერიოდულად ხორციელდებოდა სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების უზრუნველყოფა საკანცელარიო საქონლით.

სისტემატური კონტროლი იყო დაწესებული შრომის დისციპლინის მდგომარეობაზე. შესრულების შემოწმებისა და კონტროლის მიზნით ტარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ამაღლდა საჯარო მოხელეთა პირადი პასუხისმგებლობა დაკისრებული ფუნქციური მოვალეობების შესრულებისადმი.

2020 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის #181 დადგენილების შესასრულებლად.

დროულად მოხდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირება ახალი კორონავირუსის მოსალოდნელი გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით, შეწყდა სასწავლო პროცესი საჯარო სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, შეწყდა მასობრივ - კულტურული და სპორტული ღონისძიებები, სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობა, აიკრძალა ქორწილების, სხვა სარიტუალო ღონისძიებების ჩატარება. ყოველივე ამას მოსახლეობა მოეკიდა გაგებით და ამ მხრზე რაიმე გართულებებს ადგილი არ ჰქონია.

ეტაპობრივად ტარდებოდა და დღესაც გრძელდება ადმინისტრაციული შენობების, საჯარო სკოლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების, მუზეუმების, ქუჩების, მოედნების, სვერების, მაღალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების და სხვა ადგილების სადეზინფექციო სამუშაოები.

მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული საკარანტირო რეჟიმზე. მაქსიმალურად შეიზღუდა მოქალაქეთა გადაადგილება როგორც მუნიციპალიტეტის შიგნით, ისე მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ. შეიზღუდა ტრანსპორტის მოძრაობა. საშვი გაიცემოდა მხოლოდ აუცილებლობით გამოწვეული გამონაკლისების დროს.

ფართოდ დაინერგა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უმწეო ოჯახებზე ადგილებზე დახმარების აღმოჩენის პრაქტიკა. „წითელი ჯვრისა და ახალგაზრდული რეგიონალური ორგანიზაციის“ ერთობლივი ძალისხმევით მომზადდა 28 მოხალისე, რომლებიც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ადგილებზე უწევდნენ მოსახლეობას ყოველნაირ დახმარებას.

მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების 481 აღსაზრდელს გადაეცა არამალფუნქციური კვების პროდუქტები. შუახვეული ბიზნესმენების მიერ შემოწირულობებით 1253 უმწეო ოჯახს გადაეცა კვების პროდუქტები, 925 შეჭირვებულ ოჯახს ადგილზე მივუტანეთ სამთავრობო კალათა. ეს პროცესი გრძელდება.

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიასთან შექმნილი ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ინიციატივით დაინერგა ინიციატივა: „გააზიარე ცოდნა“, რომლის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ონლაინ აქტოვობები, ტრენინგები.

მუნიციპალიტეტის „ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლა“, „ა(ა)იპ ბაგა - ბაღების გაერთიანება“ გადავიდნენ ონლაინ სწავლებაზე. ამ პრინციპით მუშაობს ყველა საჯარო სკოლა. იმ სოფლებში, სადაც ინტერნეტ მომსახურების პრობლემა იგდა, მერიის ძალისხმევით და ცალკეული შუახვეული ბიზნესმენტთა დახმარებით ეს საკითხი მოგვარდა. მუნიციპალიტეტის საკრებულო, მერია გადავიდა მუშაობის შესაბამის ფორმებზე. ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა მუშა თათბირები, ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება ყოველ წამოჭრილ საკითხზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში ჩატარებას. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით მაქსიმალურად უფასოდ დაიხვნა სავარგულები, აგროვადებში განხორციელდა მარცვლეულის, ბოსტნეული კულტურების თესვა, რგვა. ადგილობრივ ფერმერებს, მოსახლეობას უფასოდ დაურიგდათ ბოსტნეულის ჩითილები.

ფართო ყურადღება ექცეოდა მოსახლეობაში საინფორმაციო ახსნა - განმარტებით საქმიანობას, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები, მერიის ვებგვერდები და სხვა. ამ საქმეში აქტიურად ჩაერთო მერიის ახალგაზრდული განყოფილება, რომელმაც დაინერგა საინფორმაციო კომპანია „ახალგაზრდები სიკეთისთვის“. ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოს მიერ შენაგროვები დახმარება გაეწია 10 უმწეო ოჯახს და ეს საქმიანობა გრძელდება.

ყოველდღიური ოპერატიული რეაგირება უკეთდება მერიის ცხელ ხაზზე. მერიის ხელმძღვანელ პირებთან შემოსულ ზარებს, ცხელ ხაზზე შემოსული ზარების საფუძველზე ათეულობით ოჯახს გაეწია დახმარება კვების პროდუქტებით, მედიკამენტებით. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყვნენ და არიან ხანდაზმულები, ქრონიკული ავადმყოფები, რომელთაც ოპერატიულად ადგილზე მიეწოდებოდა საჭირო მედიკამენტები და ეს პროცესი გრძელდება.

მუნიციპალიტეტში შიდა კონტროლის გამლიერების მიზნით ჩატარდა მნიშვნელოვანი სამუშაოები. ქმედითი კონტროლი არის დაწესებული საიჯარო გადასახადების, მოსაკრებლების ამოღებაზე. გაუმჯობესდა საზედამხედველო საქმიანობა.

ბატონებო! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბოლო 25 – 30 წლის მანძილზე როგორც ქვეყანაში, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი გადაუჭრელი საკითხი, პრობლემა თუ ამოცანა დაგროვდა. მათი ერთბაშად მოკლე დროში გადაჭრს, ყველა დამერწმუნება, რომ შეუძლებელია. ამის არც ფინანსური რესურსი არსებობს. ადგილობრივი ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდის მიუხედავად ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი ასიგნებანი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საგრძნობლად გაზრდილია ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნები და ამოცანები. ის რაც მისაღები იყო 15 – 20 წლის წინ, დღეს აღარ აკმაყოფილებს ჩვენს მოსახლეობას. ცხოვრება წინ მიდის, მოთხოვნები იზრდება.

მუნიციპალიტეტის სტრატეგიულ დაგეგმვაში მარკეტინგი მთავარ როლს ასრულებს. მარკეტინგული გეგმის მიზანია უზრუნველყოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების გეგმით გათვალისწინებული სტრატეგიებისა და კონკრეტული პროგრამების პრაქტიკული განხორციელების პროცესის მართვის ოპტიმალური სისტემების ჩამოყალიბება. რამდენად მაღალკვალიფიციულ დონეზე იქნება შემუშავებული მარკეტინგული გეგმა, იმდენად განხორციელებადი იქნება სოციალურ -

ეკონომიკური პროგრამები. იგი განიხილება როგორც ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართული იქნება მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

აუცილებლად გვესაჭიროება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა. ამასთან, აქცენტი უნდა ავიღოთ სწრაფი სარგებელის მომტან ინვესტიციებზე.

ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია ფინანსური ანალიზის გაკეთება, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების გულდასმით განხილვა, ხარჯების შეფასება, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება და ა.შ.

ასევე უნდა განვიხილოთ დამატებითი მოსაკრებლის შემოღების საკითხიც.

საქმიანი კონტაქტები გვჭირდება როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ სამინისტროებთან, უწყებებთან, ისე საქართველოს მთავრობის წევრებთან, ცალკეულ ფონდებთან, დონორ ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს. აქტიურად უნდა დავუჭიროთ მხარი სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების, ფერმერული მეურნეობების შექმნის ღონისძიებებს. ფართოდ უნდა ვითანამშრომლოთ როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ისე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან. უნდა მოვიზიდოთ რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია. მაქსიმალურად უნდა ჩავერთოთ შესაბამის მიზნობრივ პროგრამებში, სხვა სამთავრობო ღონისძიებებში, რათა ადგილზე მაქსიმალურად განვავითაროთ სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები (მეთამბაქოეობა, მეხილეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა). მუნიციპალიტეტის მასშტაბით უნდა შევქმნათ ხილის, ხორცის, რძის გადამამუშავებელი მინი საწარმოები კოოპერატივები. მაქსიმალურად უნდა დავეხმაროთ ადგილობრივ ფერმერებს, კონკურენტუნარიანი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის, რეალიზაციის საქმეში.

დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი ბიზნესგარემოს სრულყოფას, ახალი პროექტების ხელშეწყობას, არსებული საწარმოო პოტენციალის მაქსიმალურ განვითარებას. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო პროგრამებში (აწარმოე საქართველოში“, „მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა“) ჩვენი მოსახლეობის მაქსიმალური

ჩართულობის უზრუნველყოფა. 2013 – 2019 წლებში შუახევის მუნიციპალიტეტში გაცემული აგრო კრედიტების მოცულობამ 170 ათასი ლარი შეადგინა, შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 400-მა საწარმომ. ვფიქრობთ, ეს მაჩვენებელი საკმარისი არ არის.

მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანებების (ე.წ. „ამაგი“) შექმნას. ამაგების საჭიროებები და მოთხოვნები წარედგინება აწარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც საფუძვლად დაედება სამინისტროს მიზნობრივ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს.

როცა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ვსაუბრობთ, ჩვენი ძირითადი აქცენტი უნდა გადავიტანოთ აგროტურიზმის განვითარებაზე და ამ მიმართებით გადადგმული ყოველი ნაბიჯი უნდა ემსახურებოდეს ტურისტების, ვიზიტორების მოზიდვას, მათ დაინტერესებას ჩვენი ბუნებით, ყოფით, ცხოვრებით, ტრადიციებით, წეს-ჩვეულებებით, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით, სურსათით, ყოველმხრივ ხელი უნდა შევუწყოთ ჩვენი საკურორტო ადგილების (გომარდული, ღომა, ჩირუხი) განვითარებას. მიმდინარე წლისთვის დაგეგმილია ბათუმი - ახალციხის საავტომობილო გზის გასწვრივ საპიკნიკე ადგილების მოწყობა. რამდენიმე ასეთი ადგილი მოეწყობა შუახევის (ხიჭაური ზამლეთი) მონაკვეთზე. ჩვენი ამოცანაა გავხსნათ ახალი სივრცეები და ახალი ტურისტული მარშრუტები, გავაუმჯობესოთ საცნობარო - ანალიტიკური საქმიანობა, რეკლამირება და ხელი შევუწყოთ ტურისტთა მაქსიმალურ მოდინებას. ამ მიმართებით მეტი მუშაობა მართებს ტურიზმის განყოფილებას.

ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, დემოგრაფიული ფონის გაჯანსაღება, მიგრაციული პროცესების მართვა, ახალგაზრდობის ადგილზე დამაგრებისთვის ზრუნვა. მეტი სიფრთხილით უნდა განვიხილოთ სოფლად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობის დაგეგმვის საკითხები. ყველა სფეროში გვჭირდება მომავალზე ორიენტირებული გათვლები, ღრმა ანალიზზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

სამომავლოდ ჩვენს საქმიანობაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ბაზაზე წარმოების, წვრილი და საშუალო ბიზნესის განვითარების ღონისძიებების ხელშეწყობას, მცირე საამქროების შექმნას, რათა შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები, დავამაგროთ, დავასაქმოთ ჩვენი ახალგაზრდობა და არათუ შევაჩეროთ მიგრაციული პროცესები, არამედ ხელი შევუწყოთ შრომისუნარიანი მოსახლეობის მოზრუნებას, ჩვენი სოფლებისა და დასახლებული უბნების შემდგომ წინსვლა-განვითარებას.

გმადლობთ ყურადღებისთვის.

მერის მოვალეობის შემსრულებელი

ომარ ტაკიძე